


ნიმაღური



№ 57. თბ 3 ა ლ პ 3 0 რ ე უ ლ ი უ რ ა ნ ა ლ ი № 57.



ქართული ეროვნული მუზეუმის პროექტი.

ვასილ გოსერა პეტრი ჭვილის ხელვაცი.

საშობლოს კიდევ გამოაცალა
მწარე სიკვდილმა ბრყინვალე შვილი,
და ქართველ ერსა სასიქადულოთ
აწ აღარა ყავს პეტრიაშვილი,

დავკარგეთ იგი, ვინც უცხო მხარეს
გვინათლა სხივით გაბრწყინვებული,

საუნჯე მაღალ მეცნიერების,
ძლევა მოსილი, გაბრძენებული.

შეწყდა მხურეალე გულისა ძეგრა
და წმინდა გრძნობა კეთილ შობლური,
დაობლდა ჩვენი ახალ გაზრდობა — ამავე
მოაკლდათ ხელი მამა-შვილური.

ლირსო, ნამდვილო, მამულის შეილო!
ცრემლით გიგლოვენ აღმზრდელს გაზრდილნი
აღთქმას გაძლევენ, არ გიღალატონ
და შესრულონ შენი წილილნი...
იმერელი ქალი.

არეული მონასტერი

ქვეყანაზე ძაან ადვილი მოსახებნია მისთანა
კაცი, რომე ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ამბავი არა-
კათაც არ ქონდეს გაფონილი.

ჩვენს ბატონს და პატრიონს რო ეძახიან თა-
ვიანთ თავს და ჩვენს ილბალს წყვეტინ, ჯერ იგენ-
მაც არ იციან ჩვენი არც კა და ავი, თვარი გა-
დამთიელს რა უნდა მოვთხოვთ.

და ვინაიდგან ამისთანა გადამთიელი ადვი-
ლი მოსახებნია, მიესცეთ მას ხელში, ისე უცაბე-
დათ ჩაუგდოთ ამ უკანასკნელი ხანგის ჩვენებუ-
რი, თუ გინდა რუსული, გაზეთები. ჩაყვება და
კითხულობს: —ლეჩხმის რესპუბლიკის საქმე, ზუგ-
დიდის რესპუბლიკის საქმე, გურიის, რაჭის, სვა-
ნეთის, შორაპნის, ახლა კახეთის, მერე ქართლის,
გადავა ფშავში-ხევსურში, საინგილოში... არ შეი-
შლება კკუაზე!?

მარებზე და ოტირადზე რაცდა პოლიტიკუ-
რი წესწყობილება და მართა-გამგეობაა, ის არ იცის
თვარა ქვეყნიერობაზე რო სულ სამი-ოთხი რეს
პუბლიკა, ეს გაგონილი აქ... მეტი არ. და ახლა
აგერ თვამდი რესპუბლიკა ჩააბულებულა... ბიჭის!
მივარდება ქვეყნიერობის რეკას, ეძებს, ეძებს და
ბოლოს თითს ჩხრეკს ორ ზღვის შეუ გაკვეტე-
ბულს ჩვენს ქვეყანას, რომელსაც ზევიდან ლო-
დიგით უშველებელი რუსეთი დაწოლია და ქვეი-
დან სპარსი და თათარი.

უკვირს და გაკვირვებულია — ისე ერთ ცუც-
ქუნა ქვეყანაში და ამდონი რესპუბლიკა!?

საწყილი ბიჭი! ის კი არ იცის, რო ყველა ამ
რესპუბლიკებს მე თრ ბუბლიკად არ ვიყიდი!

იყო რაცხა, გვეგონა იქნებოდა, რას ვიფიქ-
რებდით, თუ ყველაფერი ასე მალე უფსკრულეთში
ჩაინთქმებოდა... დღეს?

არეულია მონასტერი!..

არეული როგორა არა მონასტერი, როცა ნ.
ნიკოლაძემაც „Новое Время“-ში დაიწყო წერა?!

სუვორინ-მენშიკოვები რა თვალითაც გვიყურებენ,
ყველამ უწყით. ნ. ნიკოლაძის ძველი ნაწერებიც
ბევრმა უწყით. ეგება, გულით და ცრემლითაც იყოს
შეზავებული ნიკოლაძის წერილი H. B.-ში, მაგ-

რამ ამ გულს სულ სხვა რიგი ცეცხლშეწყველი
ცრემლიც ისეთი წრფელი აღარ გამოიყენებოდა
H. B. ფურცლებზე იგი დასტამბული... მაგალი-
თად, როცა H. B.-ში იტყვი, რომ ჩვენს ქვეყანა-
ში პოლიცია და სასამართლოები, თავის დანიშ-
ნულებას ვერ ასრულებენ, უმაღლეს მწვერვალზე
ვერ დგანანო — ეს სულ სხვას ნიშავს, ხოლო რო-
ცა ამასვე გაიმეორებ სხვა მიმართულების, წალ-
მართ მიმართულების გაზეთში, — ამას სულ სხვა
ელფერი აქვს, სხვა თვალით შეხედავ, სხვა საზო-
მით ზომავ, სხვა ცხვირით ყნოსავ, აი გუშინაც წინაც
იყო ერთი წერილი H. B.-ში. ბოლო ტაქამდი კით-
ხულობ ამ წერილს და თან გაკვირვება გბატონობს:
H. B. ეს? ვითომ ტირის ჯერ, რო არც ერთს უწყება-
ში ქართველებს ადგილი არა აქვთო. და ბოლოს გაკ-
რავს თავისებურს კვლანჭს. — ქართველი ბობოლი
მოხელეობა რო ბლობათ ყოფილიყო, მაღალ-მაღალი
აღგილები რო მათ ქონდათო, — ავტონომიისა და
ავტოკეფალიის ხსენებაც არ იქნებოდა ამ ქვეყანა-
შიო.

მონასტერი ეგება შაშინ უფრო არეული ყო-
ფილიყო!

არეულიც იქნებოდა არ უნდა ლაპარაკი! იმი-
ტომ რო შენიანი, ახლობელი როცა გყავს ბატო-
ნიათ და მბრძანებელათ და ის თავის თავათ კიდო
დამკიდებულია; მისი ბედ-ილბალი და წარჩინება-
წარმატება რამდენისამე კიდე უფროსი ბატონების
ხელშია, ისეთს შეხერცებს გიჭირებს, აქამ და მიღო-
მილობა, მიკერძება არ შემაჩინონ, რომ სულსაც
ვერ მოიბრუნებ. რას უზამ — ადამიანის ბუნებაა... აქ
საჭიროა მიზეზის ცოდნა და ცნობა და ჯერ იგი
უნდა ჩააჩოქო... მერე? — დამშვიდება მონასტერი.

ახლა-კი არეულია.

შინ ვზივარ, თუ გარეთ დავდივარ, სულ ეგ
სიტყვები: — არეულია მონასტერი!

წავიკითხავ რასმე, თუ მოვკრავ ყურს მუსაიფს
ივივე დასკენა: — არეულია მონასტერი!...

ი, გუშინ წინ, ქუჩაში შეხვდება ერთი იმე-
რელი მეორეს და ეკითხება: — თუ ძმა ხარ ეგება,
ოკრუები სუდი იცოდე სითა აქანა?...

მეორე იმერელი ჯერ ერთ ფეხს გადაადგამს
უკან, გაშლილ ხელს წარბებზე მიიღებს, ახედ-ჩა-
ნედავს პირველ იმერელს უეცრათ გაკვირვებული
და ეტყვის:

— რავა გეტყვი, იცი, შენი საალლაბუცო შინ
გეყოლება შენ.

— შე კაი კაცო, ქვე ვინ გელლაბუცება, მარ-
თლა გკითხავ, მართლა კვირას გევედი...

— ჰო და, აბა მართლა თფუი შენ კაცობას, რაკი სუდის კარები არ გცოდნია! — მიაფურთხა და მოშორდა.

არეულია მონასტერი? გამოჩნდა იმერელი, რომელმან სუდის კარები არ იცის. . გოცირიძის კვანტი

შ ა მ ს ა გ ა მ ა მ ს ა

(ბაირონიდან)

უამსა მძიმესა და სევდიანსა
ჩემს გვერდით იდექ სახე მცინარე.
ირგვლივ მეფობდა მკვდრული სიჩუმე,
წყვდიადს მოეცვა ძირს არ მარე.

ცაზედ ვარსკვლავი არა ბრწყინავდა,
არცა დაგვქროდა მთიდან ნიავი;
შენს თვალთა სხივებს სულით შეგსტრფოდი,
მეგონა იყო იგი უკვდავი.

ნაზი ალექსი მხურვალე კოცნა
აფრთოვანებდა მარად ტანჯულ გულს;
„ჩემი ხარ, ჩემი!“ ყურს ჩამდახოდი
და მეც მოგენდე ტრფობით აგზნებულს!

მაგრამ გათენდა!.. გაპქრა ოცნება!..
შორს გადაფრინდი მძლავრ ფრთებ შესხმული
და სულს მიწამლავს ის მოგონება,
რომ შენც გასწირე მომლი გული!

ა. შ—ლო.

უკანასკნელი ცურნილი

პიტიოსანს სიტყვას გაძლევ, ექიმო, რომ სიკვდილის სრულიად არ მეშინია, და, თუ დაბეჯითებით მეტყვით როდისმე, ხვალ მოკვდებიო, ჩემს ორგანიზმე არავითარ ცულს მოვლენას არ იქნიებს. თქვენ ხომ ხშირად მარტო არ ეუბნებით სულთ მობძავს, მოკვდებიო რომ გერიდებათ ავადმყოფი უკანასკნელმა და უსაშინელესმა ცხოვრებაში ამბავმა არ მოკლას დროზე აღრეო.

ექიმი ჩაფიქრდა — იქნება რამე დამიტოვოს იფიქრა-და უთხრა:

— ანდერძი თუ გნებავთ დასწეროთ ეხლაც შეიძლება, თუმცა ჯერ იმედი მთლათ არ მაქვს დაკარგული.

— ვმ ჩაიცინა ავადმყოფმა, რა მაქვს საანდერძო... მე ხომ ჯამაგირით ვცხოვრობდი; თანაც მემკვიდრეები ყოველთვის გამოჩნდებიან!... არა, მე სულ სხვა მაწუხებს!

ჩვეულებრივ უდარდელი კაცის ასეთმა პასუხმა ექიმი გააკვირვა.

— მაშ, რათ გნებავთ გაიგოთ წინდაწინ როდის მოკვდებით?

— ჩემს ცხოვრებაში ხშირათ გამომიტების რას ნიშნავს უნებლიერ გადასვლა საბან-ბუმბულიდან ლობის ძირში. აი, იმ ძალლს რომ უყურებთ უკანასკნელი საყვარელი არსებაა ჩემი და მაგას! ჩემს მეტი არც ყოლია. ვინ იყოლიებს, ვინ არჩენს, ვინ მოუვლის ჩემსავით? ვინ შეუმსტბუქებს ჩემის სიკვდილის გამო ნაგრძნობს მწუხარებას? ამიტომ მინდა ჩემს სიკვდილამდე მოვკლა: მოულოდნელათ, უდარდელათ, ისე რომ ვერც შეატყოს, როდის მოკვდა, ვერ იგრძნოს! ტკივილი სულთ ამოხდისა და დასტკებს მხოლოდ სიკვდილის ნეტარებით. გთხოვთ, ექიმო, სურვილი ამისრულოთ... იმ დროს მითხარით, რომ რევოლუციის ფეხის გამოცვლა კიდევ შევიძლო. ხომ თანახმა ხართ?

რამდენი სხვა და სხვა ხასიათის ადამიანია ქვეყანაზე, წაიფილოსოფოსა ექიმმა.

— დიდის სრამოვნებით! 6. ლორთქიფანიძე

6—ას

(ბაირონიდან)

ოდეს, ლამაზო, გეკონებოდი
და გული მქონდა მცერდს მოყრდნობილი,
მაშინ ვფიქრობდი შენ ციურ სახეს
დამაშორებდა მხოლოდ სიკვდილი!
მაგრამ, მითხარი, სად გადაგტყორცნეს,
მგზნებარე გულსა რად დაგაშორეს?!

* * *

მართალი არის, შენ ეს არ გსურდა
და მიტომ უფლობ კვალად ჩემს გულსა;
სანამ სძეებს იგი არ დაივიწყებს
შენს ტურფა სახეს ნათელ-ციურსა;
როს ალდგებიან მკვდრები საფლავით
და მათი ნაშონი ხორცის შეისხავენ,
მაშინ შენს მცერდისა ჩავეკონები,
ერთმანეთს ველარ დაგვაშორებენ...

და ზეცა ჩემთვის რას წარმოადგენს,
რომ არა ვსჭრეტლე შენს ტურფა სახეს?

ა. შ—ლო.

ვარდი... ეკალი...

...კვლავ გაზაფხული მოგვევდიანა... არე-მარე ათას-ფერად აუგავდა... აბიანდა მინდორ-ველი; ტექ ფლობუ-ბით შემთხა და გულ-გამაგრილებელმა, სიხარულის მომვეუნება ნიავმა იწუო სისინა, მან დაურღვია ფოთლე-

...ერთს თავისუფალ ადგილზე, ბუქჩარში, ვარდის
კოკირი ამცოლებულიერ; ჭერეთ ნორჩი, გაუფურჩქნელი,
იგი ამაგა იმზირებოდა, თავს არავის უხრიდა და...
სულ ცოტა დრო უნდოდა, რომ გაუფურჩქნილიერ; —
გადებადა თვისი მოქართვებული, სურნელოგანი გულ-
დგიძლი და დაქმუშვენება არე-მარე, ბუნება, გაუმხია-
რულებინა ქვეანა...

..გვერდით, ცოტა მოშორებულ მანძილზე, ამოტუ-
ზულიდე ქედ-მოუხრელი, მკბენარი, მრჩოლარე ეკალი,
რომელსაც ფერგვები მაგრად მოედგა და აუგ-მარქს გადა-
კბენას, შეწუხებას, შეგიწოდებას უქადაგა. იგი ამავი
იქთ, ამავი!... თავისუფლების მოტრიალეთ მტრულად
ეპიდემიად...

...ბუნების სიმშევნივროთ დატებარი, ლაღად მფრთ-
ნავი, თავისუფალი ბუღბუღი ასლად აევავებულ ტექ-
მდეჭას სისარულით დასტენდა... შეიფრთხიალა, ჩამო-
ჭდა იქვე, ვარდის კოკორთან ასლობეფი, ერთ მშვე-
ნიერ ბუჩქებე და, გაუფურჩებენელ, მშვენიერ ვარდის კო-
კორს დამზერება დაუწერ... მგრძნის დამსტებობებით
სიმთა ქდენა, სტეპნა წინანდებლივ მწეხარებას არ უერ-
თდებოდა! იგი დაღად და თავისუფლად გალობდა...
გრძნობდა, რომ დილისათვის ქს შევენიერი კოკორი
გაუფურჩებნილი დახვდებოდა და დასტებობდა სურნელო-
ვას სიმშევნივრით, სისარულს მოჰყენდა!... ამიტომ იგი
თავის სტეპნა-გალობაში სისარულს სატავდა... დადხნის
უგალობდა ბუღბუღი ამ კოკორს, დაჭხაროდა!... შემდგა
ჩაეკონა, მიესავარდა და გალობითვე განშორდა, იფრ-
ნიალდა!... გადაორინდა!...

ମୂଳରେ... ପ୍ରାମଣଦୀର୍ଘତାରେ, କ୍ଷେତ୍ରରେ, ଶ୍ରୀଗୁଡ଼ା ଏକ-ମାର୍ଗେ,

რასაც-კი მისწვდის მისი მსახრავი მეტრულ ფარგლების
მუსო გააფლო... შეშერდა ვარდის სალაძეზე, მარტო უკან
უდება!... აღიგზნო მწარე მტერგარებით... გადაეფართ
ვარდს, ქნევლება, მოუსრო თავისუფლად გაფურჩქნა...
ჩააჭრო იგი, დააღვრემა!...

ლალო გეგეჭკორი

ජාත්‍යන්තර යුග

(Հյուծան Թագովար Եղիշե)

სულ აირია ქეყვანა, ყამი სდგას საკვარელია.
ლამის სიკედილი ვარჩიოთ, ცხოვრება ისრე ძნელია.
სოფელს ზედ წამოჯდომია, რჯულზედ გამდგარი მღვდელია.
არავის ინდობს, თალღითაბს, „ნაკურზონი“ წვერებ გრძელია.

ანაფორაში ქრისტეს გავს, შეინით აფთარი მეცნია. ლება ღონეს ჩემულობს, სჭირდება მზათ აქვს ცრემლია. და ჯვარი გულზედ აქვს, ცალ წელში დანა მჭრელია. ხელშიც კური ჭირდება, უზრისეთვის გასაშვრობლია.

„ლაპორტის“ წერა ქებული, „დანოხიც“ იცის ცხელია. ქვასაც გააპობს წყეული, „კალიგრაფული“ ხელია. ქეიფობს ლხინში, ტირილში, გასძახის აბა დელია. შენ გურია-ება, ის ლხინობს ლოთი და უდარდელია.

სულ კრიმინულობას „ეამიერს“ საქმენი უყვარს ბრძლია. ფეხზე ჰქონდა ქვეყნა, /ან რა გულ-მოსაწველია?/ ბრჭყალებში გამოუპირაგს, მშიერ-მწყურვალე მრევლია. მოჰკიობით, სისხლს ქაჩაგს, ვით წუტბოლა და გველია.

ფულებს გასქრებს ვექსილით, შეგ ტექსტი მოყავს ვრცელია.
„ნიუსტორიკას“ ჩაგიშერს, „პროცენტი“ იცის გრძელია.
ხატი და ჯვარი არ ახსოებს, ლხინათ უჩნს სხვისი წყლულია.
მისი მრწამისი ცხოვრებში ჭალი, ლვონ და თოლოდა...

ჩინოვნიკობს მუდამ ლატრობს, სოროს იცვლის ვით მელია, ეროვნული მოძრაობის-განახლების მქრობელია; ავტოკეფალის არ მღვმი, ძველ სიწმინდის მგმობელია, აქტივობით თარიღითანბის. სივრცეშის მშიდებლება...»

Digitized by srujanika@gmail.com

საკვირველი ამბები

◆ ტფილისში ხოლერა არ იყო, მაგრამ მას შემდეგ რაც ხოლერის აცრა დაიწყეს, ხოლერაში იწყინა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა კიდეც.

◆ რადგან სპარსეთის ჩაქციონერებს და შავრაზმელებს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ თოვები და ტყვია წამალი შემოკლებით, ამიტომ ტფილისში დიდი ფასი დაედო იარაღებს, რითაც ისარგებლეს ჩვენებურმა წითელ რაზმელებმა და მოძრაობის დროს წარომეულ იარაღებს მამასისხლიდ ყიდიან.

◆ ოსმალეთის ჩაქციონერები დიდ შზადებაში არიან და „უსისხლო“ კონსტიტუციის სისხლში ჩასაღრმობდ იწვევენ რუსეთიდან ცნობილ ლენერლებს და აგრეთვე მენშიკოვს და დუბროვინს.

◆ „გილი ქავაკავ“ - ა ნამდვილ წყაროებიდან გადმოვცემს, რომ ტფილისში უკვე შემდგარა რამდენი ჯგუფი შეთქმულთა, რომელნიც, თურმე, ყოველცისმარ დღე ვარჯიშობენ პულემიოტებისა და ზარბაზნების სროლაში მუშტაილში, მამავითზე და მისი რედაქციის პირდაპირ ცირკში.

◆ ცნობილი ესდეკი აკ. ჩხენკელი ლაზისტანის ქართველებს მიუწვევიათ ლექტორად „ეროვნული საკითხის“ გამოსაკვლევად და ფართე თვით მართველობა — ავტონომიური პროექტის შესადგენად.

◆ ოსმალეთის უკელა სოციალ-დემოკრატები, რომელთაც „გაფიციის მოხდენა“ განუზრახავთ ეტანით საქართველოსაკენ გამოუგზინიათ, ხოლო ვინც იქ დარჩენილა ჩამოუხრჩიათ (იხ. სააგენტ. დეპეშა).

◆ მენშიკოვი და მისი თანამოაზრენი ნამდვილ წყაროებიდან გადმოვცემენ, რომ ამიერიდან კავკასიელთ და განსაკუთრებით ქართველებს აფიცებად აღარ შიიღებენ რუსეთის მხედრობაშიო. უკველია მაშინ არც „სალდათებს“ გაიყვანენ ჩვენში.

◆ „ეშმაკის მათრახი“ მავნე მიმართულებისათვის (?!) დაკეტილ იქმნა და დღეიდან „მათრახი“ ეშმაკის ხელიდან ძალმომრეობისა და მკლავადთა ხელში გადადის.

◆ ქართული თეატრის რემონტის ოთხი წლის იუბილე შესრულდება წელს, 15 ნოემბერს და უბინადრო ქართული დრამა დიდის ზემო-ზარით აპირებს ამ შესანიშნავ დღის დიდებულიდ დღესასწაულს.

◆ ბ—ნი ანისა და „ცენტრალისტების“ მოლოდინი, რომ ლ. დ—შვილი, როგორც „მორა-

ლური—ზნეობრივი პიროვნება“ არ აცხადებულ; უარ მართლდება. როგორც ნამდვილ წყარულებაში წყვეტილი ფაქტიურადა ამტკიცებს წინააღმდეგს, —პირიქით ავტონომისტები არსებობენ, ხოლო არ არსებობენ „ცენტრალისტები“ რომელნიც, ვითარცა დემაგოგობის ნაყოფი, მოგონილია და ჩრთილოეთის ქარის, შემოტანილია საქართველოში.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრებული და მსახურნი ყოვლად უზრუნველნი არიან ხოლერისაგან, რადგან ხოლერას გადაუწყვეტია სანამ ბანკის სათავეში „დიდებული“ ანტონ ფურცელაძე იმყოფება — მე იქ აღილი არ მექნება, რადგან ჩემს მაგიერობას ის ასრულებს.

შონადირე

სამშობლოს სიუბარული

(მარქსისტული)

არად ვაგდებ გინდ აშენდეს,
გინდ დაიქცეს ეს ქვეყანა.
სადაც მივეთრ-მოვეთრევი,
სამშობლოა სულ ყველგანა!

ნეტავ რაა ნათესავი,
ან მოკეთე, ან დედ-მამა?
თანა გრძნობა უფრო იცის,
დამერჩმუნე უცხო, სხვამა.

ან რას ვაქნევ აკვან-კერას,
რას მიქვია დედის ნანა?
სიყვარული ამეების,
გაქარჩყლდება თანდათანა!

ნეტავ რაა საქართველო?
მე რომ მკითხოთ ჯოჯოხეთი!
ათას წილათ მიოჩევნია,
უცხო მხარე... ინდოეთი

ხატი-ჯვარი ზღაპარია;
მარქსი არის ჩვენი ღმერთი.
სადიდებელ სათავეანო,
იგი არის ერთად ერთი!

მის მოძღვრებას გავიმეფებო...
კვამლში გავხვევთ მთელს ხმელეთსა.
კუჭს ყველაფერს ვანაცვალებთ
და „უამს“ შევქმნით უკეთესსა!..



№ 13.




ლეონარდო და-ვინჩი

საშუალო საუკუნის „განახლების“ ერთი უშესანიშნავი და უდიდებულესი გენიოსად უპიველად ითვლება Leonardo da Vinci, რომლის მრავალ ფეროვანი დიადი ნიჭიერება ზღაპრადა გადმოსული. ლეონარდო დავინჩი შესანიშნავი მხატვარიც იყო, მოქანდაკეც, არხიტექტორი, მემუსიკე, პოეტი, მწერალი, სწავლული და დიდებული მეცნიერი. მიქელაჯელო ბუანაროტი, რაფაელ სანკიო და ლეონარდო დავინჩი აი სამი გენიოსი, რომელთაც შექმნეს უმთავრესად „განახლების ქაოქის“ ბრწყინვალება.

დავინჩი დაიბადა 1452 წელს ფლორენციის მახლობლად ვინჩეში. 18 წლისა არ იყო, როცა მისმა მხატვრობამ მთელი ტალია მოხიბლა. 27 წლისა მილანში გამოიწვია გერუოგმა სფერომ და აქიდან იწყება დავინჩის სამუკალითო და საკვირველი მოღვაწეობა ხელოვნების ყოველივე დარგში დი იმავე დროს დილებული მეცნიერული და ფილოსოფიური გამოკლევანი. მისი მრავალი სურათები, ქანდაკებანი, არხიტექტორული შენობანი, მუსიკალური და პოეტური თხზულებანი მრავალი დაკარგულია, მაგრამ რაც დარჩა ისიც საქმარისია მისი სახელის უკდავ ნაყოფად სანამ კაციანობა არსებობს. სხვათა შორის შესანიშნავია მისი სურათები წმ. ოჯახი, მაღლა, საიდუმლო სერობა ლეონარდო დავინჩის სამეცნიერო, ტრაქტატები დღესაც არ არის საქმაოდ გამოკვლეულად დაფასეული. გარდაიცვალა და ვინჩა 1519 წელს ყველას მიერ პატივ და თაყვანცემული.




ქრისტეს დაბადება, — დავანების ნახატი.



სიმღერა, — დარენცოს ნახატი.



საიდუმლო სერობა.—დავითის ნახტი.



ესტატე მჭედლიძე

კურაგულად მფელელი ქუთაისში 8 მაისს 1885 წ.

ევსტატი მჭედლიძის სახსოვნა

მოპერებ მტრულად, მომაშორეს გულითადი მეგობარი, ამას გსტირი და ვვალალებ, მით შემქმნია გული კვდარი... სული მიწუსს, გულში ზღვა სდულს, თვალთ მერევა ცრემლის ღვარი...

ვის შევსტირო? ცას თუ მიწას?... მოპერებ! შველა არსით არი...

მოპერებ, მაგრამ მყითხეთ: რისთვის? ნუ თუ ცუდი ჩაიდნა? ჩვეულებრივ ვერ მოქრთამეს: სახელი არ წაიხდინა! ქურდა ქურდი დაუძახა, ავაზაქ ვერ მოუთმინა... ამით თუ მოიკვდინა, მწარე ცრემლი თვალთ გვადინა...

— წახდა, წახდა ეგ სოფელი და დაეცა მწარედ ერი: სინიდისა გარდაუდა ყრმა, მოხუცი, მღვდელი, ბერი... უგუნურნა! ცოტა არის დასაჩერი, დასაჭერი, რომ მომეთა მისდგომისართ ულეტ და ხოცავთ ვითა მტერი?

ვერ ჰქედავთ, რომ კარს გვადგია ბევრ-ათასი გასაჭირი? სანთლით არი საძებარი მშრომელი და წრფელი პირი, თუ გამოჩნდა ერთი ორი, ხომ დაუხშვეთ მათაც პირი?!... ჰე თქვენ მხეცნო, ავაზაკნო! არ გვეყოფა ჩვენ სხვა ჭირი?!

უცოდველს ჰკლავთ — და არ გიშფოთს გული ციფი, გული მშრალი, ყოველ ცუდში გამბედავი, კეთილში კი — ბილწი, მხდა ლი... თქვენ, თქვენა ხართ დასალრჩობნი, თუ სადმეა სამართალი, თორემ რა მოსაკლავია კაცი წრფელი და მართალი?!... გული ითხოვს: ავაზაკებს სარანჯველი და სიკვდილი!...

თვალ წინ მიდგას, სულს მიწუხებს, მეგობრისა მე აჩრდილი, სახე დინჯი, იმედით და ფიქრით სავსე, ფერ-მიხდილი... ლალატობით მოპერებს კაცი გამოწვრთნილი, გამოზრდილი... გული ითხოვს: ავაზაკებს სარანჯველი და სიკვდილი!...

ლმერთო! ეგ რა მოგვევლინა ეგ რა ცოდვით ავიგხენით? ჩვეულა გ მსჭვალული არის ავი სულით, ავის სენით!... ის დღეგრძელობს, გინც მოქმედებს ავი საქმით, ავის ენით!.. აქ არ არი სამართალი,—ცანო, ცანო! თქვენ გვიხსენით!..

ვინ ვიტირო: ამხანაგი ერთის ტყვიით დაცემული, თუ ცოცხალნი, მთელი ერი გარყყნილი და დაცემული?!. ლმერთო! გული მეტს ვერ ითმენს, ტანჯვით, ცრემლით ავსებული... მიწაგ! გასკდი, ჩამიტანე—მოვასვნო შენს ქვეშ გული...

სილოვან

(„დროება“ 1885 წ. № 100)

დამსხვრეული გრძნობა

(ნამდვილი ამბავი)

კუმდვნი მეგზანს

„Пускай умру, печали мало,
Одно страшнътъ мой умъ болѣй,
Чтобы и смерть не разыграла
Обидной штуки нада мной!..”

— ნეტავი თუ რამ,— რამ აიძულა? ნეტა რა იყო მიზეზი?! — არა ერთი პირი თავისთავს აძლევდა ამ კითხვებს ახალგაზრდა ლადო და პასუხი რომ ვერ გამოძებნა, უიმედობის ცრემლი ჩამოსდიოდა სახიდგან. იმას არ შორდებოდა საზარელი სურათი, რომ დღეს მიწისთვის უნდა მიებარებინა უდროვოდ და კარგული, თვისი სიყრმის უბადლო მეგზარი ლევანი, რომელმაც წინა დღით, გამოურკვევ-ველ მიზეზების გამო, თავი მოიკლა.

მართლაც არავინ მოელოდა ლევნის ასეთ ხვედრს: ის ვერცხლის წყალივით მოუსვენარი, მხია-რული, ჯან-ლონით სავსე ცოცხალი არსება იყო; დაუშრეტელი, განხორციელებული ენერგია. ლევანს! არსად და არაფერში ნახვრობა, შუაზედ გაჩერება არ სწამდა. თუ მოჰკიდებდა რამე საქმეს ჩელს, უთუოდ უნდა და მიეყანა ბოლომდის, რაც გინდა ამას დიდი მსხვერპლი მოეთხოვა იმისგან, თუ შეიყვარებდა და ენდობოდა, შეეთვისებოდა ვისმეს, — მთელის თავისი არსებით, თავდავიწყებით და უანგარიშოთ...

მერძნობიარე გულს ხომ საზოგადოთ ადგილი არა აქვს ამ ანგარების და გაუტანლობის საძირკველზედ აშენებულ სოფელში, საღაც ყოველივე იღმა-ფრთვანებელი იდეალი, პატიოსნური მისწრაფებანი, გულუპრყვილო რწმენა და ნდობა იმსხვევა, როგორც აღგზნებული, ფაფარ-აშლილი ტილდა კიდიდგან ვერაგულად გამოწვდენილ ცივ კლდეზედ! ამიტომ ლევანი ვერ შეიგუა ამ ქვეყანამ და დაუზოგველად ჩამოუკრა ტლანქი ხელი იმის სულიერ ჩანგის გაჭიმულ სიმს და გასწყვიტა, უდროვოდ შეაჩერა ჯერ ახალგაზრდა სიცოცხლე...

ლევანს-კი სწყუროდა სიცოცხლე, რაღანაც უყვარდა ეს ქვეყანა; უყვარდა არამც თუ გარშემო ბუნება, მცენარეებით კეკლუცად მორთულ მთა-გორაკებით და მინდორ-ველებით, მოკისკისე რუებით და მდინარეებით, არამც ხალხიც მთელი მისი ნაკლუნოვნება-ბიჭიერებით. უმთავრესი მიზეზი-კი ასრეთი გრძნობიარებისა და გატაცებისა ის იყო, რომ ლევანს ჰყავდა „გულის სატრფო, სულისა სწორი“, რომელსაც აღმერთებდა, თაყვანსა სცემდა, თავს ევლებოდა მთელი თავისი შენახულ და

გაურყვნელ აჩსებით. იმიტომ სწყუროდა სიცოცხლე და არაფრად იგდებდა ყოველებულ მისამართულ გაუტანლობა-ვერაგობას. მიუთმენდ ელოდა იმ დროს, როცა საყვარელ აჩსებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, გაორკეცებული ენერგიით გადევშვებოდა და შეებრძოლებოდა დაჩაგრულთა წირ-ვარამს.

ლევანი თითქვას ვერც-კი ამჩნევდა თას გვარ გასაჭირს, მისკენ მიმართულ ხრიკებს, ცბიერებას, შურს, — რითაც ეს ქვეყანა სავსეა. ის მაინც კმა-ყოფილად და ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ სწამდა და ენდობოდა სატრფოს სიტყვას, თანაგ-რძნობას და ხშირად გაჭირვებაშიაც-კი ღილინებდა ხოლმე:

Любовь свободна, вѣкъ чаруя,
Законовъ вѣхъ она сильней...

ვინც რაც რა გინდა სთქვას და უმთავრესი სტიმული, რომელიც კი ატრიალებს მთელი ქვე-ნის ბედ-ილბალს არის გულ-წრფელი და უზადო სიყვარული: თუ რამ კაცის აღმა ფრენას შეუქმნია ღიდებული გამაშტერებელი რამ, მაგ. ლიტერატუ-რაში, აუშენებია საშვილოშვილო უკვდავი ძეგლი, ამას ყველგან და თითქმის ყოველთვის საძირკვლად სიყვარული დებია. გაიხსენეთ თუ რის ნაყოფია შოთას მომხიბლავი სიმთა ელერა! ბაირონის შექ-სპირის, პუშკინ, ლერმონტოვის და მრავალ სხვათა უკვდავი ნაწარმოები...

ლევანი არ იყო დაჯილდოვებული დიდი ნი-კით და არც შეექმნა უკვდავი, ან თითოთ საჩვე-ნებელი რამ, მაგრამ მომხიბლავ ძმურის მიერ აე-ღერებული იმის გულის სიმები, ვით ათასოვან ხმე-ბით შემოძახილი მომჯადავებელი მარსელიოზის ხმა, იწვევდა ლევანს გაბედულად სამოქმედოთ, ბოროტება ვერაგობასთან თავ-გამოდებით საბრძო-ლველად იმიტომ ის არა ჰგავდა ჩვეულებრივ მო-დუნებულ და თავის ქერქში ჩამძრალ ადამიანს; გულწრფელად უნდოდა მტლად დასდებოდა მოძ-მეთა ვარამს, მოყვასის კაეშანს, მიშველებოდა გა-კირვებულს და დაბეჩავებულს, გაეზიარებინა თავისი ძალ-ლონე.

სატრფოს ერთი ალერსიანი სიტყვაც კია ერთი შეხედვა, გამაბრუუბელი ნეტარებით, იცავდა ლევა-ნის მთელ აჩსებას და ის განახლებულ ენერგიით და წადილით მიიწვედა წინ...

მაგრამ ქალის აჩსება, უმრავლეს შემთხვევაში, ისეთივე გამოურკვეველი ჯურლმულია, როგორც აკეანეს უფსკრული...

ლევანის სატრფო ამ ქვეყნის შვილი იყო და ლევანთან რომ სიტყვა ჰქონდა მიცემული, თან

მოხველებული კითხება

ჭავაშვილი ბოგაზითდან

ძველად, ინკვიზიციის დროს, ინკვიზიტორებს, რომლებიც ისე უწყალოდ სდევნილენ და სტანჯავლენ თავიანთ მსხვერპლს, ერთი მდიღარი მემამულე ჩაუვარდათ ხელში. დიდი ხანია უნდოდათ წმინდა მამებს ამ მემამულის ხელში ჩაგდება, რათა ჩვეულებრივ ხელი მოეთბოთ მდიღარ კაცის ფულებით. ბრალდებული მემამულის შეცდომა ის იყო, რომ ერთს საზოგადოებაში სადღლზედ ძალიან მოსწონებოდა ღვინო და ეთქვა:

— ეს ისეთი მუვენიერი ღვინოა, რომ არამათუ კაცი თვით ლმერთიც სიამოვნებით მიირმევდა.

ეს შეეტყოთ წმინდა მამებს, დამნაშავე დაებარებინათ და ეთქვათ:

— ღვთისათვის გიშეეინებია, გაგიჩისხებია და შესაფერი სასჯელი უნდა გადაიხადოთ, თორებ შენს ცხოვრების საშველი არა აქვსო. შენ რომელი თავი ღვინის მსმელი გვონია ლმერთი, რომ სახალხოთ დასცინი და იძახი ლმერთსაც უყვარს კარგი ღვინის სმან?

მემამულემ ბევრი იფიცია, რომ სრულებით აგრეა არ მითქამსო და არც ღვთის წყენა მინდოდათ, მაგრამ ვინ დაუჯერა.

— უნდა ცეცხლში გაწრთოთ, რომ სული შენი განიწმინდოსო. ეუბნებოდა ინკვიზიტორების უმტროსი.

შეეშინდა საწყალს, იფიქრა ჩემი აღსასრულის დღე მოვიდაო და შეეხვეწა გვატიებინათ. როცა ხევწნით არა გამოდგა რა, გაიხმო ცალკე უმტროსი და მოსხესენა:

— მიმსახურეთ როგორც გსურთ, ჩემი სიმდიდრე თქვენი ჭირის სანაცვალო იყოს, ოლონდ ჩემ ცოლშვილის ცოდოში ნუ ჩადგებითო.

ამასაც ხოდ ეს უნდოდა. გამოართო ბლობა ფული, ჯიბე იმსო და კრებულის წინაშე აღიარა მისი გულუბრიყვილობა, მაგრამ მაინც უბრალოდ ღვთის სახელის ხენებისათვის, სამი თვით აქვე მონასტერში დასტოვა ცოდვების მოსანანიებ ლად. გავიდა ორი თვე, ერთხელ სახარების კითხვის დროს გაიგონა სიტყვები: „მოგეცეთ თქვენ ერთი ასათ.“

გაუკირდა მემამულეს და დაფიქსდა. ეს შეამჩნია უმტროსმა, დაიბარა წირვის შემდეგ და ჰკითხა რამ დაფატიქრა.

— მე, წმ. მამაო, ზოგი ერთი სახარების სიტ-

ყვები არა მჯერა; ვეჭვობ რომ მართლაც შემჭრელი ისე მოხდესო...

უმტროსმა გააფრთხილა კიდევ არ სცოდო ლმერთსაო და ჰკითხა — რა არა მჯერაო.

— ი მამაო, სახარებაში სწერია, რომ რასაც აქ დასთესავ ანუ ჩაიდენთ იქ ერთი ასათ მოგეცემათო. მე თქვენზედ ვნალვლობ. რაც აქა ვარ თქვენ მუვენიერი სადილ-ვახშამს მიირთმევთ და თქვენ მორჩილთ კი სულ თევზის ნახარშითა ჰკითხავთო. მართლა რომ სახარების სიტყვები ასრულდეს და საიტოს ერთი ასათ მოგეცეთ, ხომ თევზის ნახარშში დაიღვრჩებით ყველანიო... აი ამაზედ ვარ დაფიქრებულიო... — თქვენ მენანებითო.

უმტროსი გაჯავრდა ამ კითხვაზედ, გააგდო მონასტრიდან მემამულე და სრულებით აღუკრძალა მონასტრის ახლო გავლაც კი. შინ. — ჩინ.

სწავლა ჩვენი წამალი

ვერ გამიგია ამ ქვეყნის წალმა უკუღმა ტრიალი, ერთმანეთისა განწირვა, დაუდევრობა ტრიალი; რამ გადაკიდა ერთმანეთს, ან რა აქვთ საჩაუბარია, უაზრო მტრობით, ცილობით გასთელეს მთა და ბარია. თავად ხომ ლატაკები გართ, ზედმეტი უსწავლელია, უწროვნელი კაცი მუდამა სპარალო და სულელია, უფიციმამ და სინელემ ბოლო მოვეიდო ყველასა, თუ სწავლით არ აღვიძურვით, ვერ მოვეწრობით შველასა. სწავლაა ჩვენი წამალი, ის მოსპობს ბოროტებასა, ის გაგვამჟელებს, განკურნავს, ის მოგცემს მხოლოდ შვებასა!

ვ. ინ.—ძე

ოთხი წლის სამსახური

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

(ის. ნიშ. № 55)

დავახსასიათოთ ბარემ-და უფროხია ექიმი, რომელსაც ქმოჩხალებან გუბერნიის სამაზრო და სასოფლო ექიმები და თვით „გრაჩებნეფ დტდელენიე.“ ქსენოში რომ ქმისახურებდი, „გრაჩებნეფ დტდელენიესაგან,“ მიკიდე ბრძნება გამოიკვდი სანიტარეული მსრაო ახდობელი სოფლებით. არ მინდოდა ქსენოს მოვშორებოდა, ვიცოდა, რომ ტევილა ვისტრიალებდი, და საქმე კი არ გაეკოდებოდა. გადა შეორედ მივიღე ფიცებელი ბრძნება, ახდავ დაითე შენი რაითნიო. აკასრულებ ბრძნება, მოედო ერთა თვე დაგეთრევოდი, მეც ბაზცდი, მამსახლიასები და გზირებიც გაფაცდინე ტევილა, უბრალოდ, შეგადგინე „შროტოკოდები,“ ადგნაშენ სანიტარეული ნაკულევენებანი და ეკელაფერი, რის ბაშთაც საჭირო იყო, და წარუედგინე „გრაჩებნეფ დტ-

დელენიას” მაზრის უფროსს. რასაც გვირველია, ჩემი „პროტოკლები“ ორსავეგან და თომიქეს და შეინახეს. ეს იყო და ეს. არავის არაფერი არ გაუკეთებია. ეს კი- დევ არაფერი. სამი თვის შემდეგ „ვრახებნოვ ატ- დელენი“ დამკითხა, რა დონე იფლეთ სიფლებ- ში სანიტარული მდგრძალების გაუმჯობესობისთვის. “ გვისაუხეს: „პროტოკლები გამოგიგზავნეთ და სხვა, რაც არაფერი შემძლო, რა უნდა გამეოთებიათქმ.“ ასე დასრულდა ჩემი სანიტარული მოდგაწერა.

სასაცოლო იყო ერთი ამბავი. თოლერას მოვე- ლოდით. „კამინდიორთვებში გამაგზავნეს, სადაც საჭი- რო იყო, თადარიგის დაჭირა—ხლერის წინააღმდეგ. მივედი დანიშნულ ალაგას და წამლები და სასწურებე- ლი მანქანა არ დამსვედა. შევეველე „რამროცით“ „ვრა- ხებნოვ ატ-დელენიას“, „მიშველო, მომაწოდეთ „ვერ- მორეფის“ ან „ბესარდის“ სასხურებელი მანქანა და წამლები, თვარა, ხლერით ავადმეტვით რომ განხდეს სირცხვილსა ვწამ, ვერც იმას მოუვდი და ვერც დეზი- უმციას გაგაეთებ ხეირანა-თქ. პასუსად მოძივიდა: ეს მანქანაც და წამლებიც იმ სიფლეშია, სადაც შენ იმეორებით. ვწერ კადე: „ფარი, რჯელი! აქ არც მან- ქანა არის, არც წამლებითქ.“ ხელ მეორედ მწერენ: „როგორ არა, ჩექნ გამოვგზავნეთ, ან მანდ უნდა იყოს, ან მაზრის უფროსთანაც.“ განასკე მაზრის უფროსი, რო- მელმაც მანქანა რამდენიმე ბოთლი და ცატალენი გარ- ბოლის სიმჟავე. გავუგზავნე კადე „რამროცით;“ კვლავ იმგვარივე პასუსი მივიღე. რამროციბით რომ ვერავე- რი გავხდი, გამოვეცხადე უფროს ექიმს და შევჩივლე ჩემი გაჭირება. იმას თავის თანა შემწერთან გამგზავნა. თანა შემწე თათქმა გაოცდა, გაკვირვებული დარჩა: „რო- გორ, ნუ თუ მანქანა არ მიგიღიათ.“ შემდეგ იქმ აქეთ მაცაც-მაცაც თვალები, პირი მომარიდა, ცალი თვალით მეორე თანა შემწეს შეჩერდა, თათქმა დაფიქ- რდა და თავის თავს დაეგითხა: „არ კი გავგზავნე მან- ქანა?! ნამდვილი აღრესი შემშალა.“

დაგბრუნდი უკან ხელ-ცარიელი. არც მანქანა მქ- ნაა, არც წამლები. არც ერთი ჩემი მოთხოვნილება სა- ნიტარული გაუმჯობესობის შესახებ არ იქნა შესრულე- ბული.

ერთხელ ღერია წავუკითხე მაზრის უფროსს რი- გიანად მოწერილი წეარეგბას მნიშნელობაზე. იმას იუკადითა, როგორ თუ დოქტორი, ჩემზე უმიტოსი კლასის ჩინოვნიკი, მარიგებსთ, და უკანვე დამიბრუნ- ალეცია. „გარწმუნებთო, მითხოვა“. დაუჭერეთ ჩემ გამ- ცდილებას, ხლერის წინააღმდეგ სანიტარული გაუმჯო- ბესობა კი არ არის საჭირო, არამედ „პროტოკლე- რებით“.

მაღლობა ღმერთს, სოლის დაგვირვარა, თვარა,


რომ გვიწეოდა, ცედ დღეს დაგვაუწენებულ, ჩემთვის რაზე- გლებდა. უფროსს ექიმია კადლომ ტაბადი უსა- გიული ზომების მიღებისათვის ხლერის წინააღმდეგ“.

იაპონიის ომის დროს „ჩინოვნიკები“ ერთი მე- რეს ეცილებოდნენ „პატრიოტობის“ გამოხენაში. ხელად გადადგეს 10% ჯამიათების „წითელი ჯვარის“ სასათ- გებლოდ; სწუხებე და გმინავდენ, როდესაც იაპონიები იმარჯვებდნ, და სხ. „ცუსიმის“ ამბავი გაგვია ერთ სადამოს, როდესაც „ფრული სუდის“ „ჩლენი“ იყო ჩემთან სტუმრიდ, ისე ეწენია, რომ კანიდამ გული წაუ- ვიდა, საშინალ გაფირდოდა, გაუკითლდა, დარეტიანდა, გონება აერია, ღლნა ამოალუდლუდა უსტორდ რაღაცა, მწარედ ამოიხენება და გასწია შინ. ბოლოს გაგიგებ მისი წევნის მთავარი მიზეზი. რაღაცა პრივილეგია ქონდა მოთვევებული და ფიქრობდა, თუ რესმა მიმ წაგლო მოგვარად ზოგი გულწრფელად, ზოგი კი მხოლოდ მთასწევებულად სწუხდა, გლოგობდა რესე- რის დამარცხებას.

და, რასაცირელია, არც ჩემენი უფროსი ექიმი ჩამო- რჩენა სხვებს „პატრიოტულ გრძნობათა გამოხენაში. ერთხელ მთელი გუბერნიის ექიმები გაგგარცა მისმა შემდეგმა ცირკულარმა: „თუ, გინიცობაა, რომელსამე სიფელში ავად გახდა გადამდები სწნით. მაგალითად. სხებით, წითელათი და სხ., ერთი ას თრი ადამიანი, ნუ გარჯებით, არ წახვიდეთ, სუ მიღებით ზომებს სენის წინააღმდეგ რაგან, ადგილად შეიძლება, სენი თავის- თავში გაეცილება და სიფელს არ მოედვის; ექიმების გზის ქრის-კი ბევრი უული ქარჯება საზინის, რომელიც დღეს უული ზოგადი მომზადება და მედალი მის ქრის კონი კონიდების დროს თრ-სამ მანეთს არ აღმა- ტება. და, როცა სენი მთელ სიფელს ედება, ზარალი აურებელია, როგორც სიფლისათვის, აგრეთვე საზინის- თვისაც. მაგრამ ისე დაბრმისა პატარა ბიურთვრატი ცრუ პატრიოტობამ, რომ ეს უბრალ ჭეშმარიტებაც-კი დაავიწეა.

ექიმებზე კმარა. კანტრი-კუნტრა კადე შევესები შათ უგბნო საქცევლს. ახლა-კი დროა გადაგიდეო სხვა ჩი- ნოგნიკებზე.

ექიმი.



განზედ იხედებოდა და რომ მივიდა იმ დასკვნამდე (ლევანის ერთ სახითო შემთხვევის შემდეგ), რომ მეორესთან უკეთეს პირებში და უფრო აუშფოთებლად, უზრუნველად იტენვრებდა, — ლევანს უარი შეუთვალა. ამიტომაც არც ასრე გასაკვირველია, რომ ლევანი, ასრე ულმობელად და ვერაგულად მორყებული იმ ყრთად ერთ არსებაშიც, რომელსაც ის არ ენდობოდა, რომელიც გეეხადა ცხოვრების კერპად და ზედ ლოცულობდა, — როგორც საჭეს დამსხვრეულმა ტივმა აშფოთებულ მდინარეში,, — თავი ვეღარ შეიძიგრა, ვერ გადალახა ცხოვრების ტალღები თან გადაჰყვა თავის გრძნობაზე გულს...

შუადღე იყო, როცა ლადო თავჩაიდული, ხალხისაგან განმარტებით, სასაფლაოდგან ბრუნდებოდა და რადგანაც ჯერ არ წევკითხა ლევანის მიერ დატოვილი წერილი, უმაღლ დაექინებით იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვებს: „ნეტავი რა მიზეზით? ნეტავი რამ აიძულა?..“

— გულქვაობამ, უსირცხვო ლალატმა, გაუტანლობამ- ჩემო კარგო, — თითქოს ლადოს კითხვების საპასუხოთ მოესმა ლაპარაკი ქუჩის ერთ შესახვები.

ლადო უნებლიერ შეჩერდა და გაქვირვებული, ნამტირ-ლევი თვალები ტცნობის მოყვარეობით შეანათა მობაასეთ...

გ. ა—ციხელი

პუდლი შხანდოლას

(ლექსი „თავნაბრუნები“-ს გამო „ეშ. მათ.“ № 42)

„პუდლი,“ დიდო „შხანკოლა“, გრცნობ, გიცნობ ვინც ბრძანდები: „გურულ მჭედელი“ ვახსენე, შენ კი იმ წამს ყალყზე დგები..

ინდუქციის, დედუქციის,
კაცს ოუ რამ დაეჯერება,
მაშ მიზეზი შენის ხტუნვის,
ყველას თვალ წინ წარუდება...

„ეშმაკეთი!“ რედაქციის
ვაშას ვუძლვნი რომ გიპოვა,
შენებრ „კეთილ მოლვაწენით“
მან სახელი მოიპოვა...

რედაქტორს ვსთხოვ — იმედი მაქვს
ის გამიშევს სამსახურსა, —

შენებრ ფლიდს და უსირცხვილოს
არ დააკლებს ნიშადურსა, გრძელი გრძელი
აწ მშვიდობირ, „აფხანიკო“
დვალს აჩუქე შენი ლექსი;
მე კი, — დიდი შრომისათვის
დაგათხლიშე თავზე .. ნესვი!..
ვარლამ.

„მორილი ნიშადურის რედაქტორს“

ბ. რედაქტორო! განსვეთ თუ არა, ის ნეტარი დრო როდესაც ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, გახსოვთ თუ არა თავისუფლების ის პირველი სხივი, რომლითაც ჩვენ, კერძოთ ქართველები დაგრძით, მაგრამ ჩვენდავე სუპერდუროთ ეს სიტებო ბარბაროსულათ გულშვევ ჩაგვიკლეს, გახსოვთ თუ არა ხალხი, რაგორც მანქანა ისე მოძრაობდა, შრომობდა და თავისი წვლილით ეხმარეოდა განმათავსუფლებელ მაზრააბას და ყველა ქენი თუ გახსოვთ უსათურდისიც გეახსომებათ, ვინ იყო მთავარი ამმოძრავებელი ამ დიდ საქმისა, ვინ იყო მედროშე მუშათა კლასისა, ვისი სისხლითაა დღეს შეღებილ მაჟელი საქართველოს არე-მარე, ვინ იცავდა და იცავს მუშათა ინტერესებს.., თქვენ უსათურო ძალა-უნებურათ მაპასუხეათ: დიახ გვახსოვსო; მაგრამ ბ. რედაქტორო, მაგარიც ის არის, რომ ყველაფერი ეს გახსოვთ, იცით და იმის მაგიერ, რომ მუშათა კლასს დაზმარება გაუწიოთ, აქოთ და აღიდოთ საერთო ხალხის საქმისთვის ენერგიულ მოქმედებისათვის, თქვენ გამოდიხართ და იმისთანა წუმებს ასხამთ თავზე, რომლის გვარი „მას“ არასოდეს არ დაუმსახუ ებია, ვის არ წაუკითხავს ბ. ბ. ხელბელისა და სოფლის მასწავლებელის წერილები, ის წერილები, რომელიც ცრუ და არა სა იმოვნო ფაქტებზეა დამყარებული და აუნებული...

ნეტავ სად იყო ბ. ბ. ხელბელი და ს. მ. იმ დროს, როცა ხალხი ბრძანებლობდა და თავიანთ საქმეს თვით განაგებდა „სხვის“ დაუკითხავათ და დაუხმარებლათ: დასაგმობი დაეგმოთ და მოსაწონი მიერთ, რატომ იმ დროს არ გამოვიდა ბ. ბ. ხელბელი და ს. მ. სამწერლო ასპარეზე და ს. დ. არ დასწავა ის საზიქლარი ცილის წამება, როგორც მაგალითად: ქურდობა, ავაზაკობა, ყაჩალობა და კაცის კვლა!?! ბ. ბ. ხელბელის და ს. მ. მოყვალილი ზღაპარი თუ დავიჯერთ, მაშინ მთელი ს. დ. ყაჩალობა და მტარვალთა ბრძოლებილა; მაგრამ ვინაა დღეს ისე უშუმშენებელი, რომ სთქვას: „ს ასეა.“

მე იმას არა ვუიცავ, თითქოს ყაჩალობა და კაცის კვლა არ ყოფილიყოს, დიახ იყო, არის და იქნება მნამდისინ, სანამ ხალხს უფლება მისვე ხელში არ გადავა... .

ყაჩალობა იყო, არის და იქმნება. . ვმ., . აქ რა შუაშია ს. დ. აბა, თქვენთვით წარმოიდგინეთ განმათვისუფლებელი მოძრაობა და მისი მოკლე ხნის შედეგები. მაშინ დარწმუნებული იქმნებით ბ. რედაქტორო, რომ ს. დ. და ყაჩალობა შორი-შორსაა...

ამასთანავე ნება მიბორეთ მოგახსენოთ, რომ თქვენი ვაროც სიტყვით მაქმედება ძლიერ აფერებს ქართველ ერის წინსვლასა და განვითარებას, თუმცა ს. დ.—საც ბეჭრი ჩა-

ლი აქვთ, აქვთ იმისთანში ნაკლი, როგორც მაგალითად: ეროვნულ საკითხში... მე ამის გამოტენილათ, აშერათ და პირდაპირ ვამბობ, რომ მან ე. ი. ს. დ. —ამ დაახშო ჩეკი, ქართველების თვითგამორკვევა და ერ ცნული სიამყე, მაშინ, როდესაც რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებას აქვს თავისი საბაზოო მ.წანი გამარკვლეული (თუმცა ამით მათ არა-ფერი არ წაუგიათ, რაც იმაში სხანს, რომ იკინი კულტურულათ ჩეკის ბევრათ წინ არიან) მაგრამ იმედია ამასაც, ამ საკითხსაც მიაქცევს ყურადღებას და გააუმჯობესებს ისე აუ-ცილებელს ყოველი ერის უფლებას...

დაანებეთ ერთმანეთის კინკლაობას თავი, დაანებეთ ერთმანეთის ლანძღვას თავი, დატოვეთ თქვენი პარტიული განხეთქილ ბა და ხელ-ხელ ჩაკიდებული გასწით იმ გზისკენ, რომელი გზაც ჩევნთვის, ქართველებისათვის და სწერებისათვისაც ფრიიად სასარგებლოვ და სასიამოენოა...

ပြ. အပ်ရာမ်းခွဲ့လွှာ

հ 3 0 6 0 3 1 6 4 6 0 3

სწორედ გასაკვირველია ზოგიერთი ჩვენ ებურს
მარქსისტების ლოლიკა! თუ ერთი რამ აიუინა და
აიხირა, თუ ერთი რამე აითვალისწუნა და აიჩემა,
რაც გინდა არწმუნო და უმტკიცო, რომ მისი „მსჯე-
ლობა“ მხოლოდ დემაგოგიური დაუინება და ახი-
რებაა, იგი მაინც თავისას გაიძახის და ამ შემთხვევ-
ვაში, შეგვინდონ კია და, ნამდვილ თუთიყუშებს
წააგავს — დაუღალევის გამუდმებით და ერთისა და
იმავე ხალისით და კილოთი იმეორებს თავის სი-
ყალბეს და სიცრუვეს და, რა თქმა უნდა, ბოლოს
მოკამათქს ან მოლლის ან არა და ხელს ააღებინებს
კამათზე, ვინაიდგან არავის არ მოეპოება მისოდენ
მოქონილი ყბები და იმდენი მოცალეობა, რომ
ბოლომდინ სცირს მის აბდაუბდას.

მაგალითები ათვის შორს აჩ დაგვჭირდება წა-
სკლა; აი თუნდ ზემოდ მოყვანილი წერილის ავ-
ტორი ბ-ნი დიანოზ აბრამიშვილი სახელმწიფო.

ერთი ჰკითხეთ ბ-ნ აბრამიშვილს, რაღა ჩვენ
ორგანოს ფურცლებზე მოუნდა იმ დალოცვილს
თავის „აზრის უცვლელად გამოთქმა“? ესდეკებს
ფურნალ-გაზეთები მუდამ ჰქონიათ და დღესაც ბევრი
აქვთ თავიანთი „აზრის უცვლელად გამოხატებუ-
ლად“ და გვაკირს, რატომ იქ არ ინტა ხსენებუ-
ლი წერილის დაბეჭდვა და უსათუოდ ჩვენს სტუ-
მართოყვარებას მომართა, მაგრამ, ალბად, ეგეც
ერთი ჩვენთვის გაუგებარი ტაქტიკაა .. ბ-ნ აბრა-
მიშვილის წერილს მით უფრო მოუხდებოდა ესდე-
კური გაზეთის ჩარჩოები, რომ პირველ ნახევარში
იგი ჩვენ გვიცხადებს საყვედლებს, ხოლო მეორეში
ბრალსა სდებს უკუღმართობაში „ერთად ერთს“
პარტიის „ეროვნულ კითხვაში“.

მეორე: ბ-ნი აბრამი შვილი პატეტიურად 839-

კითხება და ჩვენს მესიერებაში აღნიშვნების, ტექნიკის
იყო ხალხის გაირაღტარი და მესვეურის დამსხვევება
დღიდ ბ-ნო აბრამიშვილი, ჩვენ ყველა ეს
კარგად გვახსოვს და ზედ მეტი ისიც გვახსოვს,
რაც ოქვენ ან დაგვიწყებიათ, ან კიდევ არ გცო-
ლინიათ.

მედროშეთ და მეთაურებათ ნებსით თუ უნებლივთ ხალხში „ჩადგნენ“ ესეთი პირები, რომელთაც, არა თუ დროშა და ხალხის წინ გაძლილია, თხის კუდისაც ვერ ჩააბარებდა კაცი და, ხალხს კი არა უბრალო ცხვრის ფარებსაც ვერ წაუძლვებოდა.

ჩვენ სწორედ ამას ვამბობდით და დღესაც ამას
ვიმეორებთ, რომ ს. დ. დროშის ქვეშ ზოგან თავი
მოიყარა ისეთმა ელემენტებმა, ისეთმა შუბლ გარე-
ცხილმა რაინდებმა, ისეთმა მაწანწალა და გარე-
წარმა ნაწილმა, რომლის მეთაურობა დიალიც საჩი-
თირო და სემარტებინო იყო... ხეობელს, სოფლის
მასწავლებელს და სხვებს ამის მეტი არა უთქვამთ
რა და, ასე წარმოიდგინეთ, თქვენცა და სხვებც კ
ამასვე ამბობთ, ხოლო იმდენი მოქალაქობრიობა
არ შეგწევთ, რომ კულტურფელიად და მოურიდებ-
ლიად აღიაროთ ყოველივე სიღუბქირე და სივერანე
იმ „მედროშე და ბაირალტარების“ მიერ ჩადენილნი
მოძრაობის დროს...

Եռմ թոցքեսյեն յետ յարտուլու անձախ: "Առջազ
սչառօծու յամությենոլուն" և սվորից յը "յամությեն-
ուն" և յամույլացնեցնելու Շյենանոյեծ պյուլութ ուժուած
հոմելութաւ յը յամությեծ յալուած աֆյուշ եալենուս և
տցուտ Յահրդուս Ռունա՛՛ Յահրդուսազ Սակրուլույուն...
տյշեցն Կո յարմենութ յշուլուս Սոլհմե՛՛ Ռոմ թու-
հառօծու քրուս եցըհու յոյշուլմահրտուն Քրուալյեծ ծ-
եալենու, տուրդ հուս Են՛նազ տյշեցն Սուբյացի: "Ձյ
ոմաս առ յայուպազ, տուրդ յահալուն դա յալուս յալու-
առ յոյշուլույուն. գուալ, ոյս, արուս և ոյնեծ Տանամ
եալենուս յայուլուն եալենուսազ եցլունու առ յալուպա":

უბედურებაც ეგ არის, ჩემო ბატონო, რომ „ყაჩალობა და კაცის კვლა“ სწორედ მაშინ იყო გამშიროებული, როცა ხალხის უფლება ხალხისავე ხელში იყო, მაგრამ ამის მიზეზი ხალხი კი არ იყო და არცა როდისმე იქნებოდა, არამედ ის ცრუ, ყალბი და შუბლ-გარეცხილი არამხადები, ხალხს რომ თავის ნებას თავზე ახვევდნენ და თავის უმსგავსობას ს. და-ის სახელით ნათლიავდნენ... და ეგ ყველამ იცოდა, იცოდნენ აგრეთვე მთავარ ორგანიზაციების ბელადებმა და სდუმდნენ, ხმას არ იღებდნენ...

ჩემი გვერდი ამასვე ვამხელდით და ვამტკიცებდით, რომ ალაგ-ალაგ ზოგიერთი აგენტები

ს. დ. და უფრო მეტს შემთხვევაში ადგილობრივი მეთაურები ხალხის ნდობას ბოროტად ხმარობდნენ და ბეღნიერების მაგიერ უბედურებასა და ღვარძლსა სთხავდნენ „საპირისუფლო“ რაიონში და იმის მაგიერ, რომ ოქვენც ჩვენსავით ფარდა აგხიადნათ ასეთი სამარცხინო „ღვაწლისათვის“ და პირბადე მოგეგლიჯათ ამ „კეთილის მყოფელ“ არამზადებისათვის, დღეს თვალდახუჭულად და ყურების დაცუბით გვისაყველურებთ: „მუშათა კლასს დახმარებას არ უწევთ და წუმპეს ასამთ თავზეო“...

პირჯვარი გადაიწერეთ, ბატონებო!... აქა რომ ბოროტი, ქურდა რომ მარცველი, გარყვნილს— მეძავი, მატყუარას—არამზადა და სხვა შესფერი და კუთვნილი სახელი ვუწოდოთ, ნუ თუ თავზე ლაფის გადასხმა იქნება და მუშათა კლასის შეურაცხუფა?!

კრიტიკა და მხილება თუ ცოდო და მავნეა, მაშინ მთელი თქვენი მოძლვრება და მოქმედება უდიდესი დანაშაული უნდა იყოს. ეგ ხომ ანისებური ლოლიკა იქნება, რომელიც ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ასე დახასიათა:

მისწრაფება რუსული აქვს, აზროვნება ბუშმენური: „როცა შე გჭამ ეს კარგია, და როცა შენ უზნეური“...

თქვენც და სხვებიც ერთ ნაირის დაუინებით გვეკითხებით: რა შუაშია აქ ს. დემ?. რა თქმა უნდა, ს. დ. როგორც მოძლვრება, არაფერ შუაშია, ხოლო დიახაც შუაში არიან, თავსა და ბოლოშიც ის თვითმცყრობელი ბრძანებელი ჩვენებური ესდეკებისა, რომელნიც ყველაფერს ხედავ-დნენ და ისმენდნენ და კრინტს არა ძრავდნენ გავერანებულ „აფხანიკების“ ასალიგმავად, პირ იქით ხშირად ქომაგობდნენ და მფარველობდნენ... რა-და ხდებოდა ასეო? იკითხავთ. იმად რომ როცა კაცს უფლება უყვარს და ეს უფლება ჰსურს შეინარჩუნოს, იგი აღვილად ურიგდება ყოველივე ზე-ობრივ სივაგლახეს და სიდუხჭირეს, ოღონდ კი კი ეს უფლება და ბატონობა ფეხქვეშიდან არ გამო-ეცალოს.

სწორედ ეს იყო მიზეზი და სხვა არაფერი, რომ მთავარი ძალები და ბობოლა მეთაურები ხმა ამოულებლივ ურიგდებოდნენ შეურიგებელ და შეუწყნარებელ „მოქმედებას“ ხელქვეითებისას, რომელთა ადგილი პარტიაში კი არა გამასწორებელ რაზებში უნდა ყოფილიყო.

ავტორი მედიურად გვეკითხება: სად იყავით მაშინ, როცა ხალხი ბრძანებლობდა და თავიანთ საქმეს თვით განაგებდათ. ჯერ ერთი რომ ჩვენ არ ვიცით ისეთი მაგალითი, რომ ხალხს იმ ხანებში

თვით განეგოს თავისი საქმე და მისი ბრძანებლობა ზე სულაც არა გვსმენია რა... ბრძანებლობის და განაგებლნენ სულ სხვები, რომელთა ვინაობა თქვენ ჩვენზე უკეთ იცით. ხალხი როგორც წინედ, მაშინ და ებლაც მხოლოდ ამ ვაუბატონების იარა-ლი იყო, და ოქვენი სიტყვისა არ იყოს: „ხალხი როგორც მანქანა ისე მოძრაობდა“ დიახაც მანქანა იყო ხალხი და მას სრულებით მოუმზადებელნი უვიცნი და პირადი ინტერესის მოციქულები ამოძრავებლნენ... ხოლო ამ უკიცობამ, მოუმზადებლობამ და უზომოდ აშლილმა მადამ თითქვის მოშა-ლა და გააოხრა ეს მანქანა—ხალხი... ყოველ შემთქვევაში, ჩვენ და სხვებიც მოძრაობის დროს კრი-კაში უდექით დემაგოგებს და გულწრფელად ვაუ-რთხილებდით ბრძოს, რამდენადაც კი ეს ჩვენ ძალ-ლონები იყო...“

„ვისი სისხლითა დღეს შეღებილი საქართვე-ლოს არე-მარეო“? გვეკითხება ავტორი. პასუხი იღ-ვილია. იმ უდანაშაულო ხალხის სისხლით და ოფ-ლით, რომელსაც არავითარ ფასს და პატივს არ სდებლნენ უკულმართი და ცრუ ბელადები... თვი-თონ მედროშენი, ბარალტრები, მეთათრები და მესვეურები მიიმალ-მოიმალნენ, სამშვიდობოს გა-ვიღნენ და პასუხი უდანაშაულო ხალხის ზურგმა მისცა და დღესაც აძლევს...“

ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ არიან ისეთი კუჭყიანი ხელები, რომელშიაც დი-ზენფექცია კი მომშხამვლელი და მომწამვლელია და, რა თქმა უნდა, ისეთი სათუთა, ფაქიზი და ჩი-ლი არსება, როგორც ახლად შობილი თავისუფლე-ბა, შეპილნეს, შეურაცხ ყვეს, დაამახინჯეს და ჩაღ-რჩეს ულირსთა ხელებმა...“

რაც შეეხება ბ-ნი აბრამაშვილის „აშკარად და გამოტეხილად“ აღიარებს რომ ს. დ. „ეროვ-ნულ საკითხში“ „დიდი ნაკლი აქვთ“ ეს ჩვენთვის პირველი გაგონება არის. ღვთისით, უკვე კარგა ხანია თვით ს. დ. შესაფერი ყურადღება მიაქცია თავიანთ დემაგოგების ჭირვეულ უზრობას ეროვ-ნულ საკითხში და აკი ცალკე ორგანოც „ჩვენი კვალი“ დაარსდა მათში ამ საკითხის მართებულად გადასაწყვეტილ...“

ქართველ მარქსისტების დამარცხება „ეროვ-ნულ საკითხში“ ჩვენთვის დიახაც სიამოვნების მომ-გვრელია, მაგრამ მარტო ეს კითხვა როდი აამსებს იმ ორმოს, რომელიც ჩვენ შორის არის. არის კიდევ ბევრი სხვა კითხვებიც სხვა პრობლემები...“

დასასრულ ბ-ნი აბრამაშვილი მოგვიწოდებს საერთო მუშაობაზე. კეთილი და პატიოსანი, მაგ-

რამ ვინ გაურბის „საერთო მუშაობას,“ „კულტურულ პლატფორმას.“ ჩვენ თუ ჩვენებური ესდეკები?! ყოველ შემთხვევაში, დიახაც სასურველი და აუცილებლად საჭიროა „საერთო მუშაობა“ მაგრამ ერთის პირობით: ესდეკების პარტიაში, მათს ორგანიზაციებში უნდა მოხდეს სრული განწყნდა-განსპერაკება ზნეობრივი და ორგინიული... ამას ჩვენდა სასიმღვნოთ უკვე ოვითონვე გრძნობენ და იმედია მალეც მოახდენენ ამ განახლებას — განსპერაკებას. და დარწმუნდით, ჩვენც მეტი არა გვინდა რა. რედაქ.

ღვერთო გვაშორე

(გიბრძა)

ღმერთო მაღალო, გემუდარები:
ახალ გაზღობას მოგვეც გზა სწორე,
ხოლო ძმის ღალატს და ორგულობას
ღმერთო დაგვიხსენ, ღმერთო გვაშორე!!

გადმოგვხედევი წყალობის ოვალით,
შეგვაკავშირე ერთი მეორე;
ხოლო შტრის წინ კი ქედის მოხრასა
ღმერთო, დაგვიხსენ ღმერთო გვაშორე!!

ვინც შეურაცყოფს შენს წმინდა სახელს,
დედამიწასთან მთლად გაასწორე,
ცრუს და მეტიჩჩებს დემაგოგებსა
ღმერთო, დაგვიხსენ ღმერთო გვაშორე!!!

გრი—გრი.



პროვინცია

საქართვათურო მასალები

გ-ნო რედაქტორო! რადგან კარიკატურების ხატვა არ ვიცი და იმავ დროს დიდი სურვილი მაქვს ჩვენი დაბა ხარაგაულის (ბელოგორის) ამბები და პირები გავანიშადურო, ამიტომ გთხოვთ დაახატვინოთ თქვენს „სანდროს“ შემდეგი:

პირველი კარიკატურა, უნდა დაიხატოს სამკურნალო ზედ წასწერით: ხარაგაულის ქსენონი, სამკურნალოს წინ უნდა იდგენენ ურმებით ავადმყოფები. კარებთან უნდა ეკიდოს სათო, დომელზედაც თორმეტი სათი გადასული უნდა იყოს.

სამხარეულო ოთახში პერანგებით უნდა იდგნენ ავადმყოფები (ქალები და კაცები) ზოგი მათ-

განი მჭადს უნდა აკეთებდეს (ზელამფექტურებულებულებების) და ზოგი კიდევ საჭმელებს წატუშებდეს ზოგ ავადმყოფების ფიჩხი უნდა მოქონდეს ზურგით.

ურმიანი ავადმყოფების პატრონები შეწუხებულნი უნდა იდგნენ და იმბობდნენ:

„ეს მეტუთეთ გადმოვედით 15 ვერსის მანძილი და ექიმის ნახვას კიდევ ვერ ველირსენითო.“

ზოგი ავადმყოფი, სამკურნალოდგან გაბრუნებული, გზაზე უნდა კვდებოდეს.

აქვე უნდა იდგეს მოსამსახურე და გაიძახოდეს: „ბოლნიცაში“ ნურავინ მოდიხართ, რადგან ექიმი თვეში ორჯელ არ გვეკარება და ფერშლები პირველ საათამდე ავადმყოფებს არ იღებენო.

სამხარეულოში მყოფ ავადმყოფებს განცვიფრებით უნდა ეკითხებოდეს ახლად მოსული ავადმყოფი:

„მაგას რას ჩადიხარო?“

ისინი პასუხათ ეუბნებიან:

„შიმშილით დახოცეს მჭადის კეთება ვამჯობინეთო.“

ერთი სიტყვით კარიკატურას იდეა და შინაარსი ის უნდა იყოს, რომ ექიმი სამკურნალოს არ ეკარება. ავადმყოფებს, რომლებიც აქ წვანან, სასმელ-საჭმელი და არავითარი მოვლა არა აქვთ. ფერშლები უდროვოთ იწყებენ და ათავებენ ავადმყოფების მიღებას. შენობა იქნება ხის, წინ ექნება აივანი, მის მარჯვნივ და მარცხნივ ოთახები. აივნის ორ მხარეზე კიბეები. მარჯვენა გვერდით სამზარეულო.

მეორე კარიკატურა: უნდა დაიხატოს ნათლობა, სადაც მრავალი სტუდენტები და ერის კაცები უნდა ისხდნენ. ზედ უნდა ეწეროს: „ბელაგორელ შელქო კიკნაძის 500 მან. ნათვლა“. სწოლზე უნდა იდგეს ბელაგორელი პედაგოგი მოსე, ძალზე გამხთარი. ხელში უნდა ექიროს ყანწი და სადღეგრძელოს რეს უნდა მჟევრმეტყველობდეს: „მე ვისურვებ ყველა ერისათვის გამარჯვებას, მხოლოდ ჩენ ქართველებისათვის გადავარებას, მიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს არც სამშობლო, არც ენა, არც ტერმინი, არც ლიტერატურა და სხვა გაუმარჯოს სოც. დემოკრატების მოციქულს — მარქს და მისი მცნების მიმდევართ. ძირს სოც. ფედერალისტები და მათი მეთაურები“!! დამსწრეთ ყველას ყურები თითოთ უნდა ქონდეს დაკობილი. რამოდენიმე სტუდენტი მოსესები გასალახვეთ უნდა იწევდეს. საერთო აგიტაცია და მოძრაობა.

Micha

ରୂପତାବୁଦୀ ଗ୍ରାମ-ଅଳ୍ପାକ୍ଷ
ଜୀବନକେଣ୍ଟ ବୀରମା ଫିଲ୍ସ ମେଜଲିବେଶ୍ଵର
ଯହାଙ୍କୁନିତା ଡାକାନିବା:
”ଜୀ ଦେଖିଲୁବି ଅଳମାବିଦିତ
ହେଲି ଜୀବନକୁ ହାବିଶାବ ..
ବୀରମା ଏବଂ ହାବିଶାବ
ଜୀବନକୁ କାରାଗାତ ଗାୟଗବା,
ତାହା ବୀରା ମରନ୍ଦ ଗାମିପାନିତ
ଏମିବୁନ୍ଦାରୁ ମୀର ଉଠି ଘାର

თვალთ ახილეთ, გადმომხედეთ,

საიდუმლოთ ვეტყვით ყურშა:

მიწერია ასე რჯულში. ”

ეს სთქვა ვირმა და თვალები

მეზობლისკენ დაჭირა,
და ეგონა ცუგრუმელ
ვითომც ხელში ჩაიჭირა.

ქალს გვერდითა ჩაუტარა
სხვებს ტლინკები მიაყარა,
კული გვერდზე მოიქნია,
თავი გრძელებს შეარარა.

რა გარეს პატრონებმა

„თოქში, ვირო!“ — მიაძახეს —

შეარცხვინეს და შეძრახეს,

აკი დღემდე ვირი იყავ

გრძელ ყურა და უიღდური
ახლა რა კი თავს გახველი
მოახმიტა ნოშაოზე

როგორდეთ ის იაღული...
რა კი ვირმა ეს გაეგო

შეხტა, წიხლი შეისროლა,
სიბრაზისგან გარეშემო

სულ ტლინკებით ააბოლა
აძრავი აჭარა თა შემ მაფა

ვერას განდა და ხელ გეტი
ნიუადურით კუდის რიკი

ამოეწვა და... დაწყნარდა

ଅନ୍ତିମପାଠ

„ჩინოვნიერებს.“ თუ ეს არ აუსრულებია კიდევ გაფინდების სიღრავში და თავტეს ვაწყევლინებ. **ურმილესი**

აბა დავითშემოთ ეხლა ს. ქოდალოდან: ტრუქლების მწერე ქ
ლა ა—შვილი იყო და ბაიკუშურ თავით ქრთამებს ისე ხეე-
ტავდა, როგორც არნადით ბზეს. მე კი ქრთამის მიცემას ვე-
რიდებოდი და ამიტომაც, თუმც ქალაქიდან რომ წამოველ
პირველად იქიდან სახერხო იყო ამოვრა, მაგრამ ქიზიყის-
კენ გავეშურე. ამიტომ ეხლა ვუმასპინძლდები ნიშადურით
კ. ა—შვილს.

რადგან ქო-ალის საბოქაულოში ნიშაღურ ამოსაცხებლები ბევრნი არიან, ამიტომ ჯერ მათ ამოურჩიოთ „ხალიფა“ და იმას ჩავაბარო 15 კოჭობი ნიშაღური. ვისაც დავაგელოთ ამას ამოსაცხოს.

ავუაროთ ს. კაგაბეთს. აქ სცხოვრობს მამა ალექსან-
დრე მ—შვილი ლუპური, რომელსაც ჯერ დაბადებილან კე-
თილი და სწორე სიტყვა არ უთქვასს, რის გამო ცხრა წვე-
რი და დარჩომია. ერთხანად ბლალოჩინობასაც ელოდა ირი
ალაო დამქაშიც იშოგა: მაღაქია დიაკვანი და ჩაილურული
მამაო კოლა. მაგრამ იმდინ გაუცრუვდა. აბა „ხალიფად“
ეს დავსოთ და 15 კოშორი ნიშანდურიდებან ოთხი თოთხე
ამოიცხოს. აქვე სცხოვრობს ახლად გამომცხვარი ბლალოჩი-
ნი, ჯერ იზი თვეებ რაც თონქედან გამოიდეს; ეს მამა-ცხონქ-
ბული ბლალოჩინის აჩევნების დროს ქვევნა დიაკვანი მო-
ლალა, ცხენს კიდევ ზურგი გაუდუჭა ტიკებით ღვინის გზა-
ნით მღვდლებთან, რათა პატივი დაენახათ და ბლალოჩინათ
ამოკრიცეთ აბა „ხალიფად“ ერთი გირგანქა ნიშანდური ამას
ამოუსვე.

მაგრამ „ხალიფა“-ს შეა და ბლაოლინისას დაგვრჩა
კოლას მწერელი ვასო ე—შვილი, რომელიც მოძრაობის დროს
თავს ს. დემოკრატია აღიარებდა და დღესაც იმ ჩემით დადის,
ხოლო ხალხს-კი ათ თუმან ნაკლებ ქრთამს არ ართმევს,
გასათხოვებს ათ შაურობით ქრთამავს. დანიშნავს აეტორ-
ლიალება... და მეტე თავს ანგებებს. აბა „ხალიფავ“ მწვავე
ნიშალური მოსცექ! მაგრამ უფთხილდი, რადგან როგორც
ს. დემოკრატებთან ისე რეაქცია!-თან დაახლოვებულია, და
არ შეგვაშინოს. მით უმეტეს უფთხილდი „ხალიფავ“. რომ
ვასო ქალაქში ტრაქტირში დახლოდავდ ნაყოფია და არ
შეგიყიდოს „თხლაშინის“ გადაეკრით, რომელსაც თქვენ პირ-
ველ ღმერთად სახავთ და დღეში ოჯჯერ მის გულისთვის
დუქნებს ჩამოუვლოთ ხოლმე. მაგრამ უკაკრაოდ ჩვენი ანა-
ფორიანი „ხალიფაც“ ს.—დ. აღვარებს თავს. კოლა მასწავ-
ლებელი ვისთან არ დაასმინა ხან სახელიან და ხან უსახელო
წერილებით. მაგრამ მოვიდა სეტყვა დანაკლა ქვა. „ხალიფავ“!
ნურც შენ მტერ— მოყვარე კოლასთვის დაზიგავ. ნიშალურს.
ნუ-კი ამოუსობ, მხოლოდ ასუნებინე, რაღან დანაშაულობა
იმდენი არა აქვს, რამდენიც თქვენგან გაქვეყნებელ ჭორებზე
სცენინიან მას

აკირა ს. ქოდალოშვილი. თუმცა აქ უდედრალისტების
ბუდეა, მაგრამ ნიშანურ ამოსაცხობები აქაც ბეგრია. აბა
„ხალიფ ვა“! მარჯვეთ იყავი და ვისაც აქ ჩამოვთვლი ამოუ-
წვი კუდის რით; თავიც არ დაგვიწყდეს. ცოტ-ცოტა შენც
იცხუნე, რათა უფრო გახურდე.

მალაზიას, რომელსაც მოძმეს მტრობაში და ლალა-ტში
ვერ ვინ აჯობებს. „სუდში“ მოს: მსახურეებს — უშწავლელ
გლეხკაცობის მოტყუება იმათ ხელობა არის, თუმცა ყველა
აქ მსახურინი სოციალისტებად აღიარებენ თავს.

გადავისეირნოდ ს. ჯიმათში. აბა თუ სადმე სიმართლეა აქ არის ნიშადურისთვის რთველი, თავდაპირველია გიორგი მღვდელს, რომელსაც ხუთი ბატი. რომ მიაბარო ექვს დაპკარ-გაჟს.

ს. ჩაილურში მამა კოლა სცხოვრობს, რომელიც ქვრი-ვებს უსტაბაშობას უწინს. თუმცა კოლა ხუცესია, მაგრამ აღარც მირონი სწამს და აღარც მოყვასის ცოლი და სიდე-რო; მოუკვდეს სეხნა, ძალიან მწყალობელი ყავს.

შევისვენებ სოფ. ჩაილურში, რადგან წვიმა მოვიდა, გზა ატალახდა, რამაც შემიშალა ყანდაურაში გადასვლა. ეს არიყოს მამასწარო „აბეშიკ“ ილიკოს თავსნობით ლოთი შეფოთის პარტიამ, რომელმაც მეც ქეიფში ჩამიყოლია და ჩამი-თრია. დანარჩენ სოფლებსაც მალე მოვივლი და მათ ამბავს შემდეგ ნომრისთვის გამოგიგზავნით.

გოთრები ნარიგლეჭიდა

ზეჯეთი. სანიშადუროდ დიდია გეჯეთის ვაჟბატო-ნები ძალიან გადიდგულდნენ, ხალხს ავიწროვებენ, ლანდა-ვენ, აგინებენ; ხალხი მოთმინებიდან გამოსულია და არ იცის რა ქნას, მაგრამ ყველაზე უფრო ბატონობს ერთი კაცი დი-დია, საქმეც აქვს დიდია და თვითონაც დიდია, მიტომ გსთხოვ „ნიშადურის“ ბელადს ლაქარებით გამოაგზავნას ერთი დო-ქი ნიშადური, არც ნაკლები, არც მეტი, გვინდა ნიშადური ვასხუროთ. ხსენებული ვაჟბატონი ევების დაცხეს, თორებ სწორედ გლახათ არის მისი საქმე.

გამოგვიგზავნე ბელადო,
წამალი დოქით დიდა,
თორებ ქვეუაზე არ არის
ბატონი ჩვენი დიდია.

ნიშადურს მიესცებთ ზომითა
რაღდან არს კაცი ფლიდია,
სუყველას ლანდრაეს, აგინებს
არავის არ აქვს რიდია;

აუწვი ცხვირი და პირი,
აპეიდე გუდა-სტერია,
ჩამოგვაუალე გეჯეთსა
და მოგვაშორე ჭირია.

ფინდინი.

ამბაროლაური დარიგება „პოვეტს“

გამოჩნდა ვითომიც „პოვეტი“
ფსევდონიმ „უქმაკურია“, 1)
ერყობა ხალხის გალანდვა
სულით და გულით სწყურია,
სჩანს იმას ალაპარაკებს
რაღაც პირადი შერია,
თორებ რისთვისა გალანძდა
ფერშალი ან დოხტურია.
რაჭაში კაცი არ არი
ამ ორის უმაღურია,
ერყობა მაგის დანწერი
მოცლილი უსაქმურია.
ეგებ ჰერნი ლანდრისთვის
მიართებ ხაჭაპურია,
ვურჩევთ სიმართლით გაირჯეს,
თუ პოეტობა სწყურია.

1) ამ სევდონიმით „ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდა პა-ტარა ლექსი; რომელიც თავით ბოლომდე ცილის წამებაა.

სამართალი ბოთლის ძირი გარემონტება
მოგვივიდა სულია უნევ და ცუდია,
არ გაუშვა ბოთლებში
არაყი და ლუდია.
რომ დალევსა ღვინოსა
უნდა სულ იჩინოსა
აღარ იცის რას სხადის—
კარგს თუ სამარტვინოსა! შხამი.

ძუთაცის ახირებული „ბიურო.“ ყველაფერი უცნა-ური ქუთაისში იჩენს თავს, ეხლახან ერთი ჯურის აჯანი აღმოჩნდა, რომლის წევრებსაც დიდსაც და პატარასაც შიწ-ნათ აქვთ ყოველ გვარ ჭორების შეკრება და მერე გაუ-ჯიბებულათ, ახალის რედაქციით, განალდება და გაურცე-ლება საზოგადოებაში ეს კიდევ არაფერი, უფრო საყურადღეო ის არის, რომ ამ ოჯახს საკუთარი „ბიუროც“ აქვს გამარ-თული ცოლ-ქმრების გაყრის და შეყრისათვისაც—ვისაც გინ-და ცოლთან ან ქმართან გაყრა ან კიდევ შეყვარება-გამო-ყვარება და სხვა ამ გვარი არება-ჩარება ყველას შეუძლინო ამ ბიუროს მიმართოს: ამისათვის არც ადგომატებია საჭირო არც სულები და არც თხოვნა საქმარისია მხოლოდ „გაცნ-ბა“ და ეს გაცნობაც ძალიან ადგილია: ან თვითონ მათ სახლში ან ქუჩაში ამ სიტყვებით:

„Позволите познакомиться“ მეტი არაფერი.

ანტოშა.

ზეცლომის გასორიება: „ნიშადურის“. 56 №-ში მე 12 გვერდზე მოთავსებულ ლექსში „ამ დროული გამოცა-ნები“ რცხვი III უნდა იყოს დასმული უკანასკნელ ორ კუ-პლეტის სათვეში, სადაც იწყობა ლექსი „პრმას თვალს უხელს და სხვა“.



გაძლიერებული თბისკის დარტემიდა!

ჩედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.